ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს სხდომა

ოქმი №5

ქ. ახმეტა 26 თებერვალი, 2018 წელი

თავმჯდომარეობდა: თამარ ყეინიშვილი-ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ბიუროს სხდომას ესწრებოდა: რ.ბაღაკაშვილი, ა.ბუღრიძე, ლ.ითიურიძე
ა.მექვევრიშვილი, შ.ტერტერაშვილი
ა.შათირიშვილი, დ.იმერლიშვილი
ბ.ჭიჭიკლიშვილი, თ.წითელაური
თ.ბოდაველი, ნ.ალავიძე

სხდომა გაიხსნა 11^{00} სათზე.

სხდომის თავმჯდომარე თ.ყეინიშვილმა გახსნა სხდომა და ბიუროს წევრებს გააცნო დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1. ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ;

/მომხსენებელი - დავით აბულაძე/

2. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობის ნაწილის პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით თანხმობის მიცემის შესახებ;

(ქ. ახმეტა)

/მომხსენებელი - თინათინ კუდიანაშვილი/

3. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ცენტრალური სტადიონისა და მასზე მდებარე შენობა - ნაგებობების პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ;

/მომხსენებელი - თინათინ კუდიანაშვილი/

4. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ჩოლოყაშვილის ქუჩა N50-ში მდებარე შენობაში, 53კვ.მ საიჯარო ფართის სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოსათვის პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ;

/მომხსენებელი - თინათინ კუდიანაშვილი/

5. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. ახმეტაში ნინოშვილის ქუჩაზე მდებარე სკვერში 25 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარით (აღნაგობის უფლებით) გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ;

/მომხსენებელი - თინათინ კუდიანაშვილი/

6. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობის ნაწილის პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით გაცემის თაობაზე, თანხმობის მიცემის შესახებ;

(სოფ. ოჟიო)

/მომხსენებელი - თინათინ კუდიანაშვილი/

7. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქვ ალვანში მდებარე ე.წ. „შინმოუსვლელთა სკვერში“ 81კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით გაცემის თაობაზე, თანხმობის მიცემის შესახებ;

/მომხსენებელი - თინათინ კუდიანაშვილი/

8. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფ. ალავერდში მდებარე 3029.0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარით (აღნაგობის უფლებით) გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ;

/მომხსენებელი - თინათინ კუდიანაშვილი/

9. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობის ნაწილის პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით გაცემის თაობაზე, თანხმობის მიცემის შესახებ;

(ზ. ალვანი)

/მომხსენებელი - თინათინ კუდიანაშვილი/

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგის მიღებას

11 - მომხრე;

1 - წინააღმდეგი;

(შ.ტერტერაშვილი)

მოისმინეს: ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ;

მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო საკითხი. აღნიშნა, რომ ცვლილება შედის ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო სტრუქტურაში. კერძოდ, ხდება 5 საშტატო ერთეულის დამატება. 3 შტატი უმატება ადმინისტრაციულ, იურიდიულ და შიდა აუდიტის სამსახურებს, 1 შტატი - სივრცითი მოწყობის, მშენებლობის და არქიტექტურის განყოფილებას, 1 შტატი - მერის წარმომადგენელთა ადმინისტრაციულ ერთეულში.

შ.ტერტერაშვილი დაინტერესდა, რამ გამოიწვია შტატების დამატება.

მომხსენებელმა აღნიშნა: სივრცითი მოწყობის, მშენებლობის და არქიტექტურის განყოფილებას საკმაოდ დიდი დატვირთვა აქვს. ზემდგომი ორგანოების და მოქალაქეების მხრიდან ყოველთვის იყო შენიშვნები მათი საქმიანობის მიმართ. ამის გამო აღნიშნული განყოფილების და სხვა სამსახურის უფროსებთან ერთობლივი მსჯელობის შედეგად, ნაყოფიერების გაზრდის მიზნით მიღებული იქნა გადაწყვეტილება შტატების დამატების შესახებ.

შ.ტერტერაშვილი: თუ დავაკვირდებით ჩვენს საქმიანობას, დავინახავთ, რომ რეალურად არაფერი კეთდება. ჩვენ, ან სამსახურის დებულებას ვამტკიცებთ, ან შტატს ვამატებთ და სხვა. მოგმართავთ, რომ დავსხდეთ ერთად, გავიაროთ საკითხები და კონკრეტულ საკითხს მივცეთ მსვლელობა.

თ.ყეინიშვილი: მუნიციპალიტეტს ახალი მერი ყავს და მისი უფლებამოსილებაში შედის საშტატო საკუთარი ხედვით ჩამოაყალიბოს. მე ვეთანხმები, რომ სივრცითი მოწყობის, მშენებლობის და არქიტექტურის განყოფილებას ნამდვილად სჭირდება შტატის დამატება, ვინაიდან, ახმეტის მუნიციპალიტეტში მიმდინარეობს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვა და მოწყობა,ბიომრავალფეროვნების ინტეგრირებული მართვის ჩართულობით.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას

10 - მომხრე;

2 - წინააღმდეგი;

(შ.ტერტერაშვილი, თ.ბოდაველი)

მოისმინეს: ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობის ნაწილის პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით თანხმობის მიცემის შესახებ;

(ქ. ახმეტა)

მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი: შპს „სოკარ ჯორჯია გაზი“-სათვის ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული რუსთაველის ქუჩა N56-ში მდებარე შენობის I სართულზე 162.9 კვ.მ. არასაცხოვრებელი დანიშნულების ფართის

სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის შესახებ. წლიური ქირის საფასური-6800.0 ლარის ოდენობით. სარგებლობის უფლებით გადაცემის ვადა 5(ხუთი) წელი. როგორც მომხსენებელმა განმარტა, ორგანიზაციას გაუვიდა იჯარით სარგებლობის ვადა და მზადდება ახალი ხელშეკრულება.

შ.ტერტერაშვილმა აღნიშნა, რომ პროექტები სამართლებრივად გაუმართავია. ყველა პროექტის პრეამბულაში არასწორად არის ჩასმული საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"- ს 24-ე მუხლის ე. ა. ქვეპუნქტი, რომელიც საკითხთან მიმართებაში არაა. ზოგიერთ პროექტში მერიის ნაცვლად სწერია სიტყვა ,,გამგეობა". ყურადღება მივაქციოთ, რათა პროექტების მომზადების პროცესში დაცული იყოს სამართლებრივი ნორმა.

ა. ბუღრიძე: შპს „სოკარ ჯორჯია გაზი" დიდი კომპანიაა, საკრებულოს სხდომისთვის მომხსენებელმა წარმოადგინოს დეტალური ახსნა-განმარტებითი ბარათი, რათა სრული წარმოდგენა შეგვექმნას საკითხის შესახებ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას

11 - მომხრე;

1 - წინააღმდეგი;

(შ.ტერტერაშვილი)

მოისმინეს: ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ცენტრალური სტადიონისა და მასზე მდებარე შენობა - ნაგებობების პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ;

მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო საკითხი: ქ.ახმეტაში, თუშეთის ქ. N2-ში მდებარე ცენტრალური სტადიონი, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართით: N01-240კვ.მ; N02-772 კვ.მ; N03-230კვ.მ N04-8.5 კვ.მ უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაეცემა ა(ა)იპ ახმეტის საფეხბურთო სკოლა ,,ბახტრიონს".

შ.ტერტერაშვილი: სად არის დასაბუთება, რის გამოც მიზანშეწონილად მიგაჩნიათ ფართი გადავცეთ ერთს და არა, თუნდაც მეორეს, რომელმაც შეიძლება უკეთესი პირობები შემოგვთავაზოს. საქმისადმი ასეთი მიდგომა გვაფიქრებინებს, რომ ერთპიროვნულად ვწყვეტთ საქმეს. ამასთან, პრეამბულა და ტექსტი ჩასასწორებელია. N01-240კვ.მ ფართში ზედმეტადაა მითითებული 15კვ.მ. გაარკვიეთ ეს საკითხი. აგრეთვე, დავურთათ რუკა, სადაც ნაჩვენები იქნება, თუ სად მდებარეობს აღნიშნული ფართი.

თ.ყეინიშვილი: განკარგულების პროექტი ჩასწორებული სახით, რუკებთან ერთად წარმოადგინეთ საკრებულოს სხდომაზე.

მომხსენებელმა უპასუხა, რომ საკითხს ყოველთვის ერთვის სქემატური რუკა, სადაც აღნიშნული ფართი დაშტრიხულია და განკარგულების ჩასწორებულ ვარიანტთან ერთად რუკაც წარმოდგენილი იქნებოდა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას, რასაც ერთხმად დაუჭირეს მხარი.

მოისმინეს:ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ჩოლოყაშვილის ქუჩა N50-ში მდებარე შენობაში, 53კვ.მ საიჯარო ფართის სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოსათვის პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ;

მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო პროექტი: სურსათის ეროვნული სააგენტო ფართს ითხოვს შენობის პირველ სართულზე, რომელსაც აგრეთვე გაარემონტებს.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას

11 - მომხრე;

1 - წინააღმდეგი;

(შ. ტერტერაშვილი)

მოისმინეს: ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. ახმეტაში ნინოშვილის ქუჩაზე მდებარე სკვერში 25 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარით (აღნაგობის უფლებით) გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ;

მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი: აღნიშნულ ფართში განმცხადებელს სურს პავილიონის ჩადგმა, - კაფეტერიის გაკეთება. წლიური ქირის საფასური - 40,0 (ორმოცი) ლარი, სარგებლობის უფლებით გადაცემის ვადა 10 წელი.

ა.შათირიშვილმა აღნიშნა, რომ კომისიამ განიხილა პროექტი, შეხვდა მოსახლეობას. ისინი წინააღმდეგი არიან ფართის გადაცემის. კომისიის წინადადებაა საკითხი გადაიდოს შემდგომი განხილვისათვის.

შ.ტერტერაშვილი: არ ვეთანხმები პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარით (აღნაგობის უფლებით) გადაცემის ფორმას. ეს არ არის სწორი. აირჩიეთ, ან ერთი, ან მეორე. იჯარა მშენებლობას არ ითვალისწინებს.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის თავმჯდომარის წინადადების გათვალისწინებით, კენჭი უყარა საკითხის დღის წესრიგიდან ამოღებას,- შემდგომი შესწავლის მიზნით, რასაც ბიუროს წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი.

მოისმინეს: ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობის ნაწილის პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით გაცემის თაობაზე, თანხმობის მიცემის შესახებ;

(სოფ. ოჟიო)

მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო საკითხი: სოფელ ოჟიოში, კულტურის სახლის შენობის პირველ და მეორე სართულზე მდებარე ორი ოთახის, 60 კვ.მ საიჯარო ფართის სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის შესახებ. წლიური ქირის საფასური - 324.0 ლარი, სარგებლობის უფლებით გადაცემის ვადა 5 წელი.

ა.შათირიშვილი: კომისია არ ვეთანხმებით ფართის პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემას. ვიძლევით რეკომენდაციას გავიდეს აუქციონზე.

შ.ტერტერაშვილი: უმჯობესია გავიდეს აუქციონზე. შეიძლება სხვამ უფრო ნაყოფიერად გამოიყენოს და თანხაც უკეთესი შემოგვთავაზოს. ვინც მეტს იხდის, მისი წინადადებაც უფრო მომგებიანია.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის დასკვნის გათვალისწინებით კენჭი უყარა საკითხის დღის წესრიგიდან ამოღებას, რასაც ერთხმად დაუჭირეს მხარი.

მოისმინეს: ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქვ ალვანში მდებარე ე.წ. „შინმოუსვლელთა სკვერში“ 81კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით გაცემის თაობაზე, თანხმობის მიცემის შესახებ;

მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი: განმცხადებელს აღნიშნულ ფართში სურს ჩადგას მსუბუქი კონსტრუქციის პავილიონი. დადგას სკამები, საბავშვო გასართობი საშუალებები, აგრეთვე სხვადასხვა გასართობი კონსტრუქციები ყველა ასაკის ადამიანებისათვის.

შ.ტერტერაშვილი: ჩამოყალიბდეს ეს პიროვნება, რა სურს გააკეთოს. 5 წელი ძალიან მცირე დროა. მივცეთ უფრო ხანგრძლივი ვადით.

ა. შათირიშვილი: ვფიქრობ, გადასახადი მიზერულია. ამასთან, ხელშეკრულებაში მიუთითეთ რა დროში განახორციელებს წარმოდგენილ პროექტს.

ა. ბუღრიძე: მუნიციპალიტეტში ასეთი სკვერი არ არსებობს, საკმაოდ კარგად არის მოვლილი. თანხაზე შეთანხმება შეიძლება. განმცხადებელმა წამოგვიყენოს პირობები, რა დროში გააკეთებს და ხელი შევუწყოთ.

ბიუროს უმრავლესობამ მიიღო გადაწყვეტილება საკითხი ხელმეორედ, შესწავლის მიზნით დაუბრუნდეს მერიას.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა წარმოდგენილ წინადადებას, რასაც ერთხმად დაუჭირეს მხარი.

მოისმინეს:ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფ. ალავერდში მდებარე 3029.0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარით (აღნაგობის უფლებით) გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ;

მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო საკითხი: სოფელ ალავერდში შპს ,,100"-ის დირექტორს კახა წელაურს სურს ააშენოს ქვიშის გადამამუშავებელი ქარხანა. დაასაქმებს 15-20 ადგილობრივ მკვიდრს.
შ.ტერტერაშვილი: განკარგულების პროექტი ჩასწორდეს, გავცეთ აღნაგობის უფლებით. ხელშეკრულებაში მიუთითეთ, რა რაოდენობის თანხას ჩადებს განმცხადებელი.
ა.ბუღრიძე: წარმოადგინოს ბიზნეს-გეგმა, გაწეროს ვადა, თანხის რაოდენობა და შემდეგ გავიტანოთ სხდომაზე.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა პროექტის ჩასწორებული სახით, საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანას, რასაც ერთხმად დაუჭირეს მხარი.

მოისმინეს: ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობის ნაწილის პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით გაცემის თაობაზე, თანხმობის მიცემის შესახებ;

(ზ. ალვანი)

მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი: სოფელ ზემო ალვანში, კულტურის სახლის შენობაში პირველ სართულზე მდებარე 37,9 კვ.მ საიჯარო ფართის, მოქალაქე გიორგი შველაშვილზე სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ.
მომხსენებელმა აღნიშნა, რომ განმცხადებელს ფართი იჯარით ჰქონდა აღებული და ვადის გასვლის გამო ხელახლა ხდება გადაცემა. პიროვნებამ ფართი გაარემონტა, სურს დადგას დანადგარები და მზა პროდუქცია აწარმოოს. დაასაქმებს 3 ადამიანს. წლიური ქირის საფასური - 200 ლარი. სარგებლობის უფლებით გაცემის ვადა - 5 წელი.

ბიუროს წევრები ვერ შეთანხმდნენ ვადაზე და წლიურ გადასახადზე და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი გადაეგზავნოს მერიას ხელმეორედ შესწავლისათვის.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის დღის წესრიგიდან ამოღებას, რასაც ერთხმად დაუჭირეს მხარი.

სხვა წინადადებები და შენიშვნები არ ყოფილა.

ბიუროს სხდომა დაიხურა 12[35] საათზე.

საკრებულოს თავმჯდომარე: თ.ყეინიშვილი